საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 4 20 00341122

16/04/2020

**სსიპ კოლეჯი „ერქვანისთვის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის მოხმარება-ოპერირება“ დადასტურების შესახებ**

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის 2020 წლის 15 აპრილის №339647 სამსახურებრივი ბარათის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. სსიპ კოლეჯ „ერქვანს“(ს/კ:222934671) დანართის შესაბამისად დაუდასტურდეს პროფესიული მომზადების პროგრამა „კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის მოხმარება-ოპერირება“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

**დანართი**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00570 | კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის მოხმარება - ოპერირება | პროფესიული მომზადება | მესამე | 12 | ქართული | 15 | ქ. ამბროლაური ვაჟა-ფშაველას ქ. №10 |